

აშენდება თუ არა ფოთში დუბაი და ვისთვის იქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონები საქართველოში?

ჟურნალი “თბილისელები”, 4 ივნისი, # 23 (336), 2007

ინტერვიუ ვლადიმერ პაპავასთან

პრეზიდენტი თავის გამოსვლაში ხალხის რჩეულების წინაშე დაგვიპირდა, რომ ფოთში ახალ დუბაის მოაწყობდა (თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნით) და მთავრობამაც მისი დანაპირები უმაღლესი განაკანონა (თუმცა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების სახით). მართალია, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა ერთი მოსმენით უკვე მიიღო (რამაც, მთავრული ხმებით, ფოთში მიწის ფასი კატასტროფულად გაზარდა), რაც იმას ნიშნავს, რომ კანონს მიღება არ ასცდება, მაგრამ ექსპერტთა ნაწილი მაინც მიიჩნევს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების დრო წარსულს ჩაჰბარდა და მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტი თითქმის ნულის ტოლია. ჯერჯერობით არავინ საუბრობს ხმამაღლა იმის შესახებ, თუ რას გამოიწვევს თავისუფალი ეკონომიკური ზონები, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთისა და სომხეთის, ქვემო ქართლისა და აზერბაიჯანის ეკონომიკურ ურთიერთობებში. რაც მთავარია, პრეზიდენტის ამ ინიციატივას ოპონენტი თვით სახელისუფლო ფრაქციაშიც ჰყავს, ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, ვლადიმერ პაპავას სახით. შესაბამისად, სწორედ მასთან შევეცადეთ, გაგვერკვია, რა პერსპექტივა აქვს დუბაის აშენებას საქართველოში და ვის სახეიროდ იგეგმება ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი ზონების შექმნა.

– მოკლედ განვუმარტოთ მკითხველს, რას ნიშნავს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და რა ტიპის ქვეყნები იყენებენ ამჟამად ეკონომიკის განსავითარებლად ამ საშუალებას?

– დავიწყოთ სახელწოდებით, რომელში შეცდომაა დაშვებული, რადგან შინარსს არ შეესაბამება. შინაარსით ეს არის კანონპროექტი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ. თავისუფალ ეკონომიკურ ზონას გააჩნია ნაირსახეობები და ერთ-ერთი ნაირსახეობაა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, ანუ, როდესაც ძირითადი აქცენტი გადატანილია ინდუსტრიის განვითარებაზე. მაგრამ მხოლოდ ხარვეზიანი სახელწოდება რომ იყოს ამ კანონის უარყოფითი მხარე, ამას როგორმე ავიტანდით. რას ნიშნავს თავისუფალი ეკონომიკური ზონა? ტერმინი ზონა თავისთავად მიანიშნებს, რომ ეს არის გამოყოფილი სივრცე, რომელიც განსხვავებულ რეჟიმშია, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია. შესაბამისად, თავისუფალი ეკონომიკური ზონა ნიშნავს, რომ ამ სივრცეში ეკონომიკური საქმიანობა უფრო ლიბერალურ რეჟიმში იქნება მოქცეული, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია. ჩვენი დღეს მოქმედი კანონმდებლობა უკვე აღიარებს თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, რადგან საბაჟო კოდექსით დარეგულირებულია საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობა. ვისაც თვითმფრინავით უფრენია, თბილისის აეროპორტში უნახავს გადასახადების გარეშე მოვაჭრე მალაზია. ამას გარდა, ასეთი ზონები მოქმედებს საზღვაო პორტებშიც. სხვა ქვეყნებში ამას ემატება საზღვრისპირა რეგიონებიც. თუმცა, მაგალითად, ბათუმის და ფოთის პორტებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის პრინციპში ტერმინალებია მოქცეული. ამ პროექტის ავტორებს

უნდათ, გასცდნენ საბაჟო ტერიტორიას და მის გარეთ შექმნან სივრცე, არანაკლებ ათი ჰექტრის, რომელიც მოექცევა თავისუფალი ეკონომიკური ზონის რეჟიმში.

– უკვე განსაზღვრულია, რამდენი თავისუფალი ეკონომიკური ზონა იარსებებს საქართველოში?

– რა თქმა უნდა, კანონპროექტი არ ზღუდავს ზონების რაოდენობას, ეს მთავრობის გადასაწყვეტია. მინდა, მკითხველმა იცოდეს, რომ ის შეღავათები, რომლებიც თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში, არ ვრცელდება ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე: საქონელი, რომელიც იწარმოება თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში, თუ ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე შემოდის, მოექცევა ზუსტად ისეთივე დასაბეგრ რეჟიმში, როგორც იმპორტი. აი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

– ანუ, ვთქვათ, რაღაც შევიძინე იაფად ფოთში არსებულ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში და მინდა გავყიდო თბილისში.

– დაიბეგრებით.

– მაშინ რით ვიხიერებ მე, მოქალაქე, ამ ზონით?

– ზონის შექმნის მიზანია, რომ იქ წარმოებული პროდუქცია წავიდეს ექსპორტზე, ანუ მესამე ქვეყანაში.

– ის მესამე ქვეყანა, სადაც გავიტან თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში შექმნილ პროდუქციას, არ დაბეგრავს მას?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი რეჟიმი აქვს საქართველოს იმ ქვეყანასთან. თუ საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის არსებობს შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, არ დაგბეგრავს. ასეთი შეთანხმება კი არსებობს დსთ-ის წევრ ქვეყნებთან, თურქეთთან.

– ევროპასთან?

– იქ რთული რეჟიმია.

– მაშინ რა მოგებას ვნახავ მე, მოქალაქე, ზონით?

– გეტყვით, რა შეღავათებია დაწესებული თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში: განულებულია მოგებისა და ქონებისა გადასახადი, გამარტივებულია სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და გაძღოლის ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის სისტემები. საქმე ისაა, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონები მართლაც ამართლებენ არალიბერალურ ეკონომიკურ სივრცეში, იმიტომ რომ იქ ეს შეღავათები საკმაოდ დიდი სტიმულია წარმოების განვითარებისთვის. მაგრამ, როგორც კი ქვეყანაში ხდება ეკონომიკის სერიოზული ლიბერალიზაცია, ზონა კარგავს თავის არსს.

– ჩვენთან კი ძალიან ლიბერალური ეკონომიკური რეჟიმია.

– რა თქმა უნდა. სხვათა შორის, პირველად თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა აკაკი ბაქრაძემ წამოაყენა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს. მან თქვა, ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველო გახდეს საბჭოთა კავშირის თავისუფალი ეკონომიკური ზონა. ღვთის მადლით, მოვლენები უკეთესად განვითარდა და არათუ თავისუფალი ზონა, არამედ დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ. შემდეგ, 1990-იან წლებში ეს წამოვიდა აჭარის ხელმძღვანელობიდან, ბათუმის ინიციატივას მაშინვე გამოეხმაურა ფოთი, მანაც მოინდომა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა; შემდეგ, ყაზბეგი, რუსეთთან გვაქვს საზღვარიო; ამას გამოეხმაურა ლაგოდეხი, აზერბაიჯანთან გვაქვს საზღვარიო; ახალქალაქი, სომხეთთან გვაქვს საზღვარიო; არც თბილისი გაჩერდა, ჩვენთან საერთაშორისო აეროპორტი. ერთ-ერთი პირველი კანონი საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ ჩემი ხელმძღვანელობით დაიწერა. ის უკვე მზად იყო 1996 წლის დასაწყისში, მაგრამ იმ დროისთვის მისი მიღების აქტუალობამ იკლო, იმიტომ რომ 1995 წლიდან საქართველოში საგარეო ვაჭრობის სერიოზული ლიბერალიზაცი დაიწყო: არასატარიფო ბარიერები თანდათანობით გაუქმდა. 1996 წელსვე ჩვენ უკვე აღარ გვქონდა გადასახადი ექსპორტზე, უფრო მეტიც, კანონის მიხედვით, მეწარმეს, რომელიც პროდუქციას ექსპორტზე გაიტანდა, უბრუნდებოდა Ifvint,ekb ღირებულების გადასახადი. ანუ ჩვენთან საგარეო ვაჭრობაში დამყარდა ის პრინციპი, რაც არის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში. ამიტომაც თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნამ ეკონომიკური აზრი დაკარგა. დღეს კი კიდევ უფრო უკეთესი ეკონომიკური რეჟიმი გვაქვს ქვეყანაში: იმპორტზე ტარიფები გავანულეთ, დაგვრჩა მხოლოდ სამენ მასალებზე, 5 პროცენტი და სოფლის მეურნეობის პროდუქტზე, 12 პროცენტი; ქვეყნის შიგნით კი გავამარტივეთ ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემა. უფრო მეტიც, დღეს საქართველოში გამარტივებულია უცხოელების შემოსვლა, თავისუფალი ეკონომიკური ზონაც ამას გულისხმობს.

– კანონში მითითებულია, სად უნდა განთავსდეს თავისუფალი ეკონომიკური ზონები?

– არა, მხოლოდ ფოთზე იყო ლაპარაკი, მაგრამ როგორ შეიძლება, ეს გააკეთო ფოთში და ამას არ მოჰყვებს ბათუმი?! ყველა მაჟორიტარი დეპუტატი შეეცდება, რომ მის რაიონში გაიხსნას ასეთი ზონა, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც სასაზღვრო რაიონებიდან არიან. რა პოლიტიკური მოტივით უნდა გავაჩეროთ მეზობელი სახელმწიფოების საზღვარზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა?!

– გასაგებია, რომ გულისხმობთ სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლს, სამომავლოდ, ალბათ, ცხინვალის რეგიონსაც, რომელიც რუსეთს ესაზღვრება. უნდა გავაჩეროთ პოლიტიკური მოტივით?

– წარმოიდგინეთ, ისედაც მცირე ზომის სახელმწიფოში ჩვენ უფრო და უფრო მეტ ტერიტორიას ვტოვებთ სახელმწიფოს ეკონომიკური სივრცის გარეთ, ნაკლები სახელმწიფო კონტროლის გარეშე. ეს ზონები იმუშავებენ თავიანთ თავზე და არა ქვეყანაზე.

– რა მოგებას ნახულობს ქვეყანა თავისუფალი ეკონომიკური ზონიდან?

– არანაირს. კანონპროექტში წერია, რომ იქნება ზონის ორგანიზატორი, რომელსაც გამოავლენს ტენდერი და რომელსაც დაევალება ამ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის აგება. ბუნებრივია, როდესაც ის ამას გააქირავებს, თვითონ აიღებს ქირას. განმარტებით ბარათში წერია, რომ ზონაში სახელმწიფო არც არაფერს ხარჯავს და არც ქმნის, მაგრამ ამბობენ, რომ ეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელსო. დიდი ბოდიში, მაგრამ რაღა მხოლოდ ათ ჰექტარზე, მოდი რა, მთელი ქვეყნის ეკონომიკა განვითაროთ?! მოგიყვანთ წმინდა trjyivbrურ არგუმენტს: იმ ქვეყნებში, სადაც შიდა ინვესტიციების სიჭარბეა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები უფრო ამართლებს, ვიდრე იქ, სადაც შიდა ინვესტიციები დეფიციტია. როცა ქვეყანაში ინვესტიციური შიმშილია, უცხოელი ინვესტორი ქვეყანაში კი არ შემოვა, არამედ შევა ზონაში, თან არა მხოლოდ ის, შენივე პოტენციური შიდა ინვესტორიც ზონაში დააბანდებს ფულს, ანუ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნით ქვეყანაში ინვესტიციური შიმშილი გაიზრდება.

– **სწორედ ამ იმედით ფოთში გაიზარდა მიწების ფასიო. ეს კანონზომიერია?**

– საერთოდ, უძრავი ქონების ფასი მთელ საქართველოშია გაზრდილი, ეს სპეკულაციური ეფექტია, თუმცა ეს სულ სხვა საუბრის თემაა. ამდენად, არარეალისტურია მიწის ფასიც და ბინებისაც. ბუნებრივია, ფოთშიც გაიზრდებოდა მიწის ფასი, იმიტომ რომ ხალხი ილუზიითაა შეპყრობილი, ელის, რომ იქ რაღაც გარღვევა მოხდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ უკვე ეყოლებათ შერჩეული, ვისთვისაც კეთდება თავისუფალი ეკონომიკური ზონები.

– **რაკი, როგორც თქვენ ამბობთ, ზონას არანაირი ეკონომიკური ეფექტი არ ექნება, ის ან არაკომპეტენტურების დაწერილია, ან ერთეულებისთვის ფულის შოვნის დამატებითი წყაროა?**

– მე ვერ ვიმარჩიელებ, უბრალოდ ორივე ვერსიას აქვს არსებობის უფლება. მე დიდად მეპარება ეჭვი ჩვენი მთავრობის კომპეტენტურობაში, თუმცა ნაკლები კომპეტენტურობა სულაც არ გამორიცხავს სხვა ინტერესებს.

– **ანუ დუბაის ფოთში ვერ ვეღირსებით?**

– მოდი ვთქვათ, საქართველო მიზანი უნდა იყოს დუბაი ფოთში?! მცირე ზომის ქვეყანაში მთელი ქვეყანა უნდა იყოს აყვავებული. ამას წინათ, ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა, რომელმაც გაიგო ჩვენთან ისევე ამოტივიტივდა თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის საკითხი, მომწერა, ეს ის მიკრომუტანტია, რომელიც პერიოდულად იჩენს თავს სხვადასხვა ქვეყანაში და, როგორც ჩანს, საქართველოსაც შეეყარა ეს სენიო.

– **უმრავლესობისგან განსხვავებული პოზიციის გამო დისკომფორტი არ შეუქმნიათ კოლეგებს?**

– დისკომფორტი მე უკვე მაქვს იმის გამო, რომ ჩემი შეხედულებები არ გაიზიარეს. მე სანამ დეპუტატი გავხდებოდი, ვიყავი და ვარ სტუდენტების მასწავლებელი, პროფესორი, მე არ შემიძლია, სტუდენტს ლექციაში ერთი წავუკითხო და

პარლამენტის ტრიბუნიდან მეორე ვთქვა, რადგან ჩემთვის სტუდენტების ნდობა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე პარლამენტის დეპუტატთა მთელი ერთობლიობა. რაც შეეხება ჩემს ურთიერთობას უმრავლესობის სხვა წევრებთან: ჯერჯერობით განსხვავებული აზრის გამო პრობლემა არ შემქმნია.

ნინო ხაჩიძე